

## ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სესხის/კრედიტის ხელშეკრულება N [loan:publicId] თარიღი: [formatDate:loan,giveDate]

### კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი • [loan:installmentPercent]%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი • [loan:effectivePercent]%

### ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი) • [schedulePaymentSelect:3,payment] ლარი

### კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელები

- კრედიტის გაცემის საკომისიო • [loanGiveoutCommission] ლარი

### სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი (ძირი) თანხის ოდენობა [loan:requestAmount] ლარი
- კრედიტის ვადა [schedulePaymentCount:all] თვე
  - **1%** - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; **0,5%** - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 - იდან 12 თვემდე ვადა; **0%** - 6 თვემდე ვადის შემთხვევაში; **2%** - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი. (გამოიანგარიშება - კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად)
- წინასწარ დაფარვის საკომისიო (სესხის დაფარვა მსესხებლის მოთხოვნით)
  - 0 ლარი
  - სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევისას პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერთჯერადად 20 ლარი;
  - სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევისას ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.27 პროცენტი თითოეული ვადაგადაცილებულ დღეზე.
- წინასწარ დაფარვის საკომისიო (სესხის დაფარვა კრედიტორის მოთხოვნით)

- პირგასამტეხლო

ამასთან ერთად, გადახდის გრაფიკის დარღვევისას პირგასამტეხლოს ოდენობა ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა იყოს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტზე მეტი, ხოლო სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული / დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5 -მაგ ოდენობას

საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში მსესხებლის ინფორმირება ცვლილებამდე 1 თვით ადრე მოხდება წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტბანკით / მოკლე ტექსტური შეტყობინებით/კრედიტორის ვებ გვერდზე მსესხებლის პირად პორტალზე მსესხებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია კრედიტორის პრეტენზიების სამსახურში ბეპირი, წერილობითი, სტანდარდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

## სესხის (კრედიტის) ხელშეკრულება

**ხელშეკრულების ნომერი :** N [loan:publicId]

**თარიღი :** [formatDate:loan,giveDate]

**მხარეები:**

- ერთის მხრივ, გამსესხებელი/კრედიტორი - სს „სილქ როუდ ბანკი“ ;
- მეორეს მხრივ, მსესხებელი - სახელი, გვარი: [user:name] [user:surname] / პირადი ნომერი N[user:persId] / მისამართი: [user:actualAddrCity], [user:actualAddrStreet] [user:actualAddrNumber] / უფასო საკომუნიკაციო არხის ტელეფონის ნომერი: [user:phone].

**ვაფორმებთ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:**

1. მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებში, წინამდებარე სესხის (შემდგომში: სესხის ან/და კრედიტის ხელშეკრულება) ხელშეკრულებაში და სესხის ხელშეკრულების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მხარეების მიერ გაფორმებულ სხვა დოკუმენტებში, რომელიც დაკავშირებულია სასესხო ურთიერთობებთან,

გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა გარდა, იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის კონტექსტიდან აშკარად სხვა რამ გამომდინარეობს. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება;**

1. **1. გამსესხებელი** (შემდგომში „გამსესხებელი ან/და კრედიტორი“) - სს „სილქ როუდ ბანკი“ ს/ნ - 201955027; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N2; ტელეფონის ნომერი: 2 242 242; საბანკო ლიცენზიის ნომერი: N238. საზედამხედველო ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.
1. **2. კრედიტორის ელ. ფოსტის მისამართი** - ელექტრონული ფოსტის მისამართი silkcredit@silkroadbank.ge, რომელზეც მსესხებელს შეუძლია გააგზავნოს სხვადასხვა საინფორმაციო განაცხადები, ასევე ელექტრონული მისამართი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მსესხებელს დაეგზავნოს სხვადასხვა სახის, მათ შორის, სარეკლამო საინფორმაციო ელექტრონული შეტყობინებები;
1. **3. ვებ-გვერდი** - კრედიტორის ვებ-გვერდი [www.silkcredit.ge](http://www.silkcredit.ge), რომლის საშუალებითაც მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს კრედიტის პირობებს (საკრედიტო პროდუქტს), კრედიტის ხელშეკრულებას და მის დებულებებს, კრედიტის მნიშვნელოვან და სპეციალურ პირობებს, საკრედიტო ხელშეკრულების თავსართს და დანართს, კრედიტის განაცხადის ფორმას. ასევე, რომლის მეშვეობითაც მსესხებელს აქვს შესაძლებლობა ვებ-გვერდზე დაარეგისტრირდეს პირადი პროფილი (კაბინეტი), რომლის მეშვეობითაც ავსებს განაცხადს სესხის მიღებაზე, გასცემს თანხმობებს პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე/შენახვაზე/დამუშავებაზე/გადაცემაზე, გასცემს თანხმობას კრედიტინფოში საკრედიტო ისტორიის გადამოწმებაზე და ამავე ბაზაში საკრედიტო ინფორმაციის განთავსებაზე, იღებს ვერიფიკაციის პერსონალურ კოდს, ეთანხმება სასესხო პირობებს და სესხის ხელშეკრულებას, ახორციელებს სესხის პროდუქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებს, რაც ასახულია სესხის გაცემის პროცედურებში და სასესხო პროდუქტში.
1. **4. მსესხებლის პირადი პროფილი (კაბინეტი)** - ვებ-გვერდზე, მსესხებლის მიერ პერსონალური მონაცემების რეგისტრაციის შედეგად შექმნილი პირადი პროფილი (კაბინეტი), რომელის აქტივაცია ხდება მსესხებლის მიერ მითითებული მომხმარებლის და პაროლის შეყვანის შემდეგ. პირადი პროფილის (კაბინეტის), საშუალებით მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, წარადგინოს სესხის განაცხადი, გაეცნოს კრედიტის პირობებს (საკრედიტო პროდუქტს), კრედიტის ხელშეკრულებას და მის დებულებებს, კრედიტის მნიშვნელოვან და სპეციალურ პირობებს, საკრედიტო ხელშეკრულების თავსართს და დანართს, კრედიტის განაცხადის ფორმას, შეავსოს განაცხადი სესხის მისაღებად, გასცეს თანხმობები პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე/შენახვაზე/დამუშავებაზე/გადაცემაზე, გასცეს თანხმობა საკრედიტო ბიუროში მათ შორის კრედიტინფოში საკრედიტო ისტორიის გადამოწმებაზე და ამავე ბაზაში საკრედიტო ინფორმაციის განთავსებაზე, მიიღოს ვერიფიკაციის პერსონალური კოდი, გარიგების კოდი, დაეთანხმოს სასესხო პირობებს და სესხის ხელშეკრულებას, განახორციელოს სესხის პროდუქტთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები, რაც ასახულია სესხის გაცემის პროცედურებში და სასესხო პროდუქტში.
1. **5. სასესხო პროდუქტი** - მსესხებლის დაკრედიტების პირობები;
1. **6. განმცხადებელი** - სესხის მაძიებელი პოტენციური მსესხებელი ფიზიკური პირი, რომელიც ავსებს სასესხო განაცხადს და განაცხადზე დადებითი პასუხის მიღებისას პირი რომელიც ხდება მსესხებელი;
1. **7. მსესხებელი** – ხელშეკრულების მხარე, ვებ-გვერდზე მსესხებლის პირადი

პროფილით (კაბინეტით) შევსებულ განაცხადში დაფიქსირებული და გამსესხებლის გადანყვეტილებით დასაკრედიტებელი (საკრედიტო პროდუქტის მიმღები) ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს საკრედიტო პროდუქტით დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელზეც გამსესხებელმა გასცა სესხი ამ ხელშეკრულების და საკრედიტო პროდუქტით დადგენილი პირობების შესაბამისად; ასევე პირი რომლის საიდენტიფიკაციო და პერსონალური მონაცემები მითითებულია განმეორებით და შემდგომ სესხის განაცხადში, რომელიც შევსებულია გამსესხებლის ვებ-გვერდზე მსესხებლის პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით, პირი რომელსაც გავლილი აქვს პირველადი პერსონალური ვერიფიკაციის პროცედურა;

1. **8. სესხი** - მსესხებლის მიერ ვებ-გვერდზე პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით შევსებული განაცხადით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მსესხებლისთვის მიცემული ფულადი თანხა სესხის ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
1. **9. განმეორებითი და შემდგომი სესხი** - მსესხებლის მიერ პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით განმეორებით და შემდგომ შევსებული განაცხადით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მსესხებლისთვის მიცემული ფულადი თანხა სესხის ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; განმეორებით და შემდგომ სესხზე თავიდან ფორმდება ხელშეკრულება და ხდება იგივე პროცედურის გავლა რაც პირველ სესხზე.
1. **10. სესხის ხელშეკრულება** – გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან სტანდარტული ფორმით დადებული წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „სესხის ან/და კრედიტის ხელშეკრულება“ და მე-16 მუხლში მითითებული მისი დანართ(ებ)ი, (კერძოდ: სესხის განაცხადი; ხელშეკრულების თავსართი; სესხის ხელშეკრულების სპეციალური პირობები; სესხის გადახდის გრაფიკი; თანხმობა საკრედიტო ბიუროდან მონაცემების მოპოვების/დამუშავების და გადაცემის შესახებ; თანხმობა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე; თანხმობა სს „სილქნეტიდან“ მონაცემების გამოთხოვის და დამუშავების შესახებ;), რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად, რაც ავტომატურად უთანაბრდება ამ დოკუმენტზე მსესხებლის ხელმოწერას და მსესხებელი იბოჭება მის მიერ ამ ფორმით გამოვლენილი ნებით; ამასთან ერთად, თუ ხელშეკრულების დადება მხარეებს შორის მოხდება არა ელექტრონული ფორმით ანუ, სტანდარტული მატერიალიზებული ფორმით, ხელშეკრულებაზე მსესხებლის თანხმობის დადასტურება და მისი ხელმოწერა განხორციელდება სველი ხელმოწერის წესით.
1. **11. ხელშეკრულების დადების შეთავაზება (მონვევა ოფერტზე)** – გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის პირობების საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსება, ან/და მსესხებლისთვის პირად პროფილზე (კაბინეტში) ან/და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებზე შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნა, რომელიც არ წარმოშობს გამსესხებლის ვალდებულებას მსესხებლის დაფინანსებასთან და ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით;
1. **12. ოფერტი** – შესაბამის დოკუმენტებზე (სესხის განაცხადი; ხელშეკრულება; ხელშეკრულების დანართ(ებ)ი; ხელშეკრულების თავსართი; სესხის გადახდის გრაფიკი და სხვა) მსესხებლის ოფერტი დასტურდება მსესხებლის მიერ ამ დოკუმენტების ელექტრონულად გაცნობის და ელექტრონულად თანხმობის დადასტურებით; იმ შემთავხვაში, თუ ხსენებულ დოკუმენტებზე ოფერტი წარმოებს

მატერიალიზებული სახით ყველა ასეთი დოკუმენტი ხელმოწერილი (სველი ხელმოწერის პროინციპით) უნდა იყოს მსესხებლის მიერ

1. 13. **აქცეპტი** – მსესხებლის მიერ **პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან) სესხის აღებაზე** ონლაინ ელექტრონულად თანხმობის ოპოერაციის დადასტურება და მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვა (სესხის ხელშეკრულების დადება). გამსესხებელსა და მსესხებელს შორის სესხის ხელშეკრულება დადებულია და სესხი გაცემულად ითვლება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვის მომენტიდან;
1. 14. **განმეორებითი და შემდგომი აქცეპტი** - მსესხებლის მიერ პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით განმეორებითი და შემდგომი სესხის მიღების შესახებ განაცხადის შევსების შემდეგ გამსესხებლის მხრიდან დადებითი საპასუხო ნების გამოვლენა, რაც დაკავშირებულია მსესხებლის საბანკო ანგარიშზე განმეორებითი და შემდგომი სესხის თანხის გადარიცხვასთან (განმეორებითი და შემდგომი სესხის ხელშეკრულების დადებასთან). გამსესხებელსა და მსესხებელს შორის სესხის ხელშეკრულება დადებულია და სესხი გაცემულად ითვლება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვის მომენტიდან;
1. 15. **განაცხადი (შემდგომში „განაცხადი ან/და სესხის განაცხადი“)** – გამსესხებლის მიერ პირად პროფილზე (კაბინეტში) განთავსებული განაცხადის ფორმა, რომელიც, მსესხებლის პერსონალურ და სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას, მსესხებლის მიერ მოთხოვნილი სესხის ოდენობის, სესხის ვადის, დასაბრუნებელი თანხის და სხვა ინფორმაციის შესახებ და, რომლის ელექტრონულად შევსება და დადასტურება სესხის პირობების და სასესხო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით წარმოადგენს მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გაკეთებულ ოფერტს (თანხმობას) სესხის მიღებაზე, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებზე მიერთებაზე და მის დადებაზე; ამასთან ერთად, მხარეები შევთანხმდით, რომ განაცხადი შეიცავს იმ მონაცემებს, რომელზეც მსესხებელმა დააფიქსირა თავისი თანხობა და თანხმობის დაფიქსირების შემდეგ განაცხადი გახდება სესხის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი.
1. 16. **სპეციფიკური საფინანსო პროდუქტი** – კრედიტი, მათ შორის ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, რომლის მთლიანი თანხა აღემატება 300 ლარს და ნაკლებია 200 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში;
1. 17. **სესხის/კრედიტის თანხა** – თანხა, რომელიც შეიძლება გაიცეს ან/და გაცემულია მსესხებელზე მის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვის გზით, და რომელიც ექვემდებარება ამ უკანასკნელის მიერ გამსესხებლისათვის დაბრუნებას, სესხის პროდუქტის, სესხის განაცხადის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
1. 18. **სესხის პროცენტი** – საკრედიტო პროდუქტით ან/და საკრედიტო ხელშეკრულებით/მისი თავსართით ან/და დანართით გათვალისწინებული ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, რომელიც ერიცხება კრედიტს საკრედიტო ვადის განმავლობაში ყოველდღიურად და რომლის გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც (სასყიდლის ფორმით) მსესხებელს წარმოეშობა სესხის გადახდის გრაფიკით. პროცენტის დარიცხვა (ასეთის არსებობისას) წარმოებს საკრედიტო ვადის განმავლობაში ყოველდღიურად და მისი დარიცხვა იწყება სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ საკრედიტო თანხის მსესხებლისთვის გადარიცხვის მომდევნო კალენდარული დღიდან;
1. 19. **ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი** – ყველა სხვა ტიპის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ არის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი;

1. 20. **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი** – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებებითაა გამოწვეული;
1. 21. **ფინანსური ხარჯი** – საკრედიტო პროდუქტით და საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ კრედიტის მიღების, შენარჩუნებისა და მისი სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს. ფინანსური ხარჯის გაანგარიშების წესი მოცემულია საკრედიტო პროდუქტში და **საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებაში „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწვევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“** მე-12 მუხლში. ამასთან ერთად, ფინანსური ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებულია ხელშეკრულების თავსართში და ხელშეკრულების სპეციალურ პირობებში;
1. 22. **კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** – კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მსესხებლის მიერ ამ ხარჯების განწვევის პერიოდის გათვალისწინებით, რაც მითითებულია ასევე ხელშეკრულებაში, მის დანართებში და თავსართებში, ასევე სასესხო პროდუქტში და განაცხადში;
1. 23. **სესხის გაცემის საკომისიო** - სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის თანხას სესხის გაცემის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, და რომლის გადახდის ვალდებულებაც მსესხებელს წარმოეშობა სესხის თანხის მის სახელზე გაცემისთანავე (გადმორიცხვისთანავე), და რომელიც გამსესხებელს შეუძლია უაქცეპტო წესით ჩამოჭრას სესხის თანხიდან სესხის გაცემისთანავე და მისი გამოკლებით სესხის თანხა გადარიცხოს მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ან/და გამსესხებელმა მისიგადახდა მსესხებელს მოსთხოვოს სესხის დაფარვის ვადის ბოლოს (სესხის პროდუქტის შესაბამისად);
1. 24. **პირგასამტეხლო** – მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან სასესხო პირობებით ან/და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. მხარეები აცნობიერებენ, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს დარიცხული თანხის კორექტირება დამრგვალებით. დამრგვალება განხორციელდება სტან/დართული მათემატიკური პრინციპით, 0.01 ლარამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას;
1. 25. **სესხის რეფინანსირება** - ახალი სესხით ძველი (მოქმედი) სესხის დავალიანების გადაფარა;
1. 26. **სესხის გადავადება (პროლონგაცია)** - გამსესხებლის თანხმობისა და მსესხებლის მიერ გადავადების საფასურის/საკომისიოს გადახდის საფუძველზე მსესხებლის სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით (თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან).
1. 27. **ხელშეკრულების თავსართი** – ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მითითებულია კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხელშეკრულების თავსართის ნიმუშ(ებ)ი მოცემულია კრედიტორის ვებ-გვერდზე;
1. 28. **ხელშეკრულების დანართი** - ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც არის ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილი/დებულებების დამატება, რომელიც

წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და, რომელშიც მითითებულია კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია;

1. **29. მსესხებლის საბანკო ანგარიში** – მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიში სს „სილქ როუდ ბანკში“, რომელზეც გადაირიცხება სესხის თანხა გამსესხებლის მიერ მსესხებლის დაკრედიტების გადანყვებილების მიღების შემთხვევაში; ასევე, მსესხებლის საბანკო ანგარიში, რომლის მონაცემების მეშვეობითაც ხდება მსესხებლის იდენტიფიცირება/ვერიფიცირების პროცესი;
1. **30. მსესხებლის თანხმობა სესხის მიღებაზე** – მსესხებლის მიერ ვებ-გვერდის მეშვეობით, **მსესხებლის პირადი პროფილის (კაბინეტის) საშუალებით**, სასესხო განაცხადის შევსებით, სასესხო პირობების, სასესხო ხელშეკრულებების, სესხის მიღების პროცესის სრულყოფილად გავლის შედეგი და გაცემული ელექტრონული თანხმობა, სასესხო კონტრაქტთან და სასესხო პირობებთან მიერთების ელექტრონული თანხმობა; მსესხებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია და სესხის აღებაზე თანხმობა დასტურდება ვებ-გვერდზე მსესხებლის პირადი პროფილში (კაბინეტში) გაკეთებული სესხის მიღებაზე განაცხადით, ამავე პროფილზე (კაბინეტში) გაცემული ელექტრონული თანხმობებით და სასესხო თანხის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვის ოპერაციით.
1. **31. მიმდინარე დავალიანება** – მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება კონკრეტულ დროის შუალედში, რომელიც მოიცავს დაბრუნებას დაქვემდებარებულ სესხის თანხას, დარიცხულ პროცენტსა, საკომისიოს ანდა პირგასამტეხლოს, სასესხო პროდუქტით და სასესხო ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით;
1. **32. სესხის დაბრუნების თარიღი** – სასესხო/საკრედიტო ხელშეკრულებით და გადახდის გრაფიკით შეთანხმებული სესხის გადახდის თარიღი, რის საფუძველზეც დგინდება აღებული სესხის თანხის, მასზე დარიცხული საკომისიოს (ასეთის არსებობისას), საპროცენტო სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება;
1. **33. სესხის ვადა** – გამსესხებლის ვებ-გვერდზე ან/და გამსესხებლის ვებ-გვერდზე მსესხებლის რეგისტრაციის შემდეგ მსესხებლის პირად პროფილზე (კაბინეტში) ან/და სესხის ხელშეკრულებაში, მის თავსართში, სესხის გადახდის გრაფიკში ან/და დანართში მითითებული სესხის თანხის და პროცენტის, ასევე საკომისიოების დაბრუნების სტანდარტული ვადა. ასევე, მსესხებლის სესხის განაცხადში (ასეთის არსებობისას) მითითებული სესხის ვადა. სესხის ვადის ათვლა იწყება სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ მსესხებლისთვის სესხის თანხის გადარიცხვის დღიდან (გადახდის გრაფიკის მიხედვით);
1. **34. ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი** - სს „სილქ როუდ ბანკის“ პროგრამულ უზრუნველყოფაში რეგისტრირებული მომხმარებლის/მსესხებლის „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი, რომელზეც მსესხებელს ეგზავნება სასესხო განაცხადის დადასტურების, პერსონალური მონაცემების გამოთხოვა/დამუშავება/შენახვაზე გაკეთებული თანხმობების დადასტურების, სესხის ხელშეკრულების (მისი თავსართები/დანართები/გადახდის გრაფიკები) დადასტურების და საბანკო პოერაციების შესასრულებლად საჭირო იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პერსონალური კოდები;
1. **35. იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პერსონალური კოდი** (შემდგომში „პერსონალური კოდი ანდა სმს (SMS) კოდი“) – ვებ-გვერდზე, მსესხებლის პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან) გაცემული დავალების ანდა გარიგებაზე დასტურის ავტორიზაციისთვის შექმნილი უნიკალური სმს (SMS) კოდი, რომელიც ეგზავნება მსესხებელს „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერზე“.

აღნიშნული კოდი გამოიყენება მსესხებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისათვის, კერძოდ: მსესხებლის პირადობის იდენტიფიცირებისათვის, მსესხებლის ნების ნამდვილობის დადგენისათვის, სესხის პირობებზე და სასესხო ხელშეკრულებაზე მსესხებლის მიერთებაზე თანხმობის დადასტურებისათვის. პერსონალური კოდი წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის ნამდვილობის დადგენის, სესხის მიღების აუცილებელ მაიდენტიფიცირებელ საშუალებას და სესხის მიღებაზე თანხმობის დადასტურებას.

1. 36. **სასესხო ოპერაციის განხორციელება** – ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ახორციელებს გამსესხებელი/კრედიტორი მსესხებლისთვის კრედიტის მიწოდებისას, მისივე შიდა პროცედურებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
1. 37. **მონაცემთა სუბიექტი** - მსესხებელი.

## 2. ზოგადი დებულებები

2. 1. სასესხო განაცხადის შევსებით და წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებელი ადასტურებს, რომ:
  2. 1.1. სასესხო განაცხადი (შემდგომში „განაცხადი“ ) შედგენილია მისი ნების შესაბამისად;
  2. 1.2. განაცხადი შეიცავს მის მიერ „გამსესხებლისთვის“ გამჟღავნებულ პერსონალურ მონაცემებს;
  2. 1.3. დეტალურად გაეცნო სესხის ხელშეკრულების პირობებს და ეთანხმება მათ. ასევე, დეტალურად გაეცნო მის დანართ(ებ)ს, (კერძოდ: სესხის განაცხადი; ხელშეკრულების თავსართი; სესხის ხელშეკრულების სპეციალური პირობები; სესხის გადახდის გრაფიკი; თანხმობა საკრედიტო ბიუროდან მონაცემების მოპოვების/დამუშავების და გადაცემის შესახებ; თანხმობა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე; თანხმობა სს „სილქნეტიდან“ მონაცემების გამოთხოვის და დამუშავების შესახებ;) და შესწორებების გარეშე სრულად ეთანხმება და უერთდება მათ;
  2. 1.4. სასესხო განაცხადში მითითებული მონაცემების შემოწმების მიზნით, ასევე, განაცხადის განხილვის/დამუშავების, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის და დაკრედიტებაზე გადანყვეტილების მიღების მიზნით, „გამსესხებელს“ მიაჩნია უფლებამოსილება, მოიპოვოს დაამუშავოს და შეინახოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები შესაბამის წყაროებიდან, მათ შორის: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, საკრედიტო ბიუროდან, სს სს „სილქნეტიდან“ / „ჯეოსელიდან“. ასევე, საჭიროებისას ან/და მსესხებლის მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას „გამსესხებელს“ მიაჩნია უფლებამოსილება გადასცეს მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია მოთხოვნის ახალ მფლობელს;
  2. 1.5. **წინამდებარე დოკუმენტით „მსესხებელი“ გამოვხატავ თანხმობას და უფლებას ვაძლევ „გამსესხებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს განაცხადში, კრედიტორთან დაცული, ასევე, ჩემ შესახებ საკრედიტო ბიუროებში დაცული და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩემი, როგორც მომავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით. „მსესხებელს“ გაცნობიერებული მაქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებელი (გამსესხებელი) ვალდებულია**



გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული თანხმობა არის ერთჯერადი და მოქმედია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში. „მსესხებელი“ თანახმა ვარ ჩემი მონაცემების დამუშავებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მათ შორის, ბიუროსათვის მიწოდება, მონიტორინგის მიზნებისათვის გადამონმება). ამასთან ერთად, წინამდებარე დოკუმენტით „გამსესხებელს“ „მსესხებელმა“ მიანიჭა უპირობო უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს კრედიტორთან დაცული ინფორმაცია, ასევე, საკრედიტო ბიურო(ებ)ში დაცული ინფორმაცია გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის გამოითხოვოს საკრედიტო ბიუროდან, მათ შორის: სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/კ - 204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზიდან. კრედიტინფო საქართველო, რომელიც წრამოადგენს საკრედიტო ბიუროს, უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით. „გამსესხებელს“ უფლება აქვს გადამხდელუნარიანობის ანალიზის ანდა კრედიტუნარიანობის შემოწმების, ასევე მომსახურების განწვევისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს „მსესხებლის“ შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია საკრედიტო ბიუროს, მათ შორის, კრედიტინფო საქართველოს და მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილებების/დამატებების შესახებ მიანოდოს აღნიშნულზე ინფორმაცია. „გამსესხებელი“ ადასტურებს, რომ მას გაცნობიერებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;

2. 1.6. „გამსესხებელს“ მიანიჭა უპირობო უფლება, საკრედიტო ბიუროს (მათ შორის კრედიტ ინფო საქართველოს) მიანოდოს მონაცემთა სუბიექტის ყველა სესხის/კრედიტის, გარესაბაღანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) შესახებ ინფორმაცია, თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N195/04 ბრძანებით (**საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი**) დადგენილი წესით; სს „სილქ როუდ ბანკს“ უფლება აქვს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო ბიუროს (მათ შორის კრედიტინფო საქართველოს) საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილებების/დამატებების შეტანისას, იმ წესის შესაბამისად, რაც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N195/04 ბრძანებით (**საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი**) დადგენილი წესით.
2. 1.7. ინფორმირებული არის იმის შესახებ, რომ საკრედიტო ბიუროსათვის (მათ შორის კრედიტ ინფო საქართველო) ინფორმაციის მიწოდება ინვესს მონაცემთა

სუბიექტის აღრიცხვას საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია, ფიზიკურ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადამხდელუნარიანობის / კრედიტუნარიანობის შეფასება. ამასთან ერთად, ინფორმირებულია, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება კრედიტინფო საქართველოს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს და რომელსაც უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია

დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.

2. 1.8. ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ სს „სილქ როუდ ბანკი“-ს მიერ სესხის/კრედიტის (გარესაბაღანსო ვალდებულებების წარმოშობის, აკრედიტივი, გარანტია და სხვა) გაცემის შემთხვევაში საკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაცია მიეწოდება საკრედიტო ბიუროს. შესაბამისად ადასტურებს, რომ სს „სილქ როუდ ბანკი“ უფლებამოსილია ხსენებული ინფორმაცია მისი დამატებითი ინფორმირების და თანხმობის მოპოვების გარეშე გადასცეს საკრედიტო ბიუროს (მათ შორის კრედიტ ინფო საქართველოს).
2. 1.9. მონაცემთა სუბიექტი თანახმაა, სს „სილქ როუდ ბანკი“-ს მიმართ საკრედიტო/სასესხო, გარესაბაღანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების არსებობისას და მათი მოქმედების პერიოდში სს „სილქ როუდ ბანკმა“ განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება საკრედიტო ბიუროში (მათ შორის კრედიტინფო საქართველოს ბაზაში) დამატებითი თანხმობების გარეშე გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.
2. 1.10. დაკრედიტებაზე გადანყვეტილების მისაღებად „გამსესხებელს“ მიაჩნია უპირობო უფლება, დამატებითი თანხმობის გარეშე გადამოწმოს, მოიპოვოს დაამუშავოს და შეინახოს პერსონალური მონაცემები სს „სილქნეტის“ს /ჯეოსელის (ს/კ204566978) სააბონენტო ბაზიდან. ასევე, საჭიროებისას ან/და მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას გადასცეს ეს ინფორმაცია მესამე პირებს. სს „სილქნეტიდან“ გამოთხოვილ პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება შემდეგი მონაცემი: ანგარიშის ნომერი; პირადი ნომერი; აბონენტის სახელი/გვარი; საკონტაქტო ინფორმაცია; რეგიონი; მისამართი; სერვისი; მსესხებელზე რეგისტრირებული ჯეოსელის მობილური ნომრის კუთვნილების დასტური; სერვისის ჩართვის დრო; გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის რაოდენობრივ-სტატისტიკურ მოდელში დასამუშავებელი მონაცემის იდენტიფიკატორი მობილური ტელეფონის ნომრის მსესხებლის სახელზე რეგისტრაციის თარიღი; ბოლო სერვისის ჩართვის დრო; ასევე, - **Last1mon\_SMVC\_CELLS\_11\_17\_STD** - ბოლო ერთი თვის (30 კალენდარული დღე) 11:00 am - 17:00 pm პერიოდის განმავლობაში, მოცემული ნომრის განსხვავებულ სელებზე დაფიქსირებული რაოდენობის ყოველდღიური სტანდარტული გადახრა (სმს-ის და ხმოვანი სიგნალის მიხედვით. ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB); **Last3mon\_FIX\_CDR\_STD** - ბოლო სამი თვის (90 კალენდარული დღე) განმავლობაში, მოცემული ნომრიდან ფიქსირებულ ქსელებზე ყოველდღიურად გამავალი ზარების რაოდენობის სტანდარტული გადახრა (ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB); **Last1mon\_CHARGE\_PAYG\_VOICE\_AVG** - ბოლო ერთი თვის (30 კალენდარული დღე) განმავლობაში ხმოვან სიგნალთან დაკავშირებული პაკეტის გარეშე ხარჯის ყოველდღიური საშუალო (ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB); **Last6mon\_INC\_REST\_SMS\_COUNT\_STD** - ბოლო ექვსი თვის (180 კალენდარული დღე) განმავლობაში არა ფიზიკური პირებიდან ყოველდღიურად მიღებული SMS რაოდენობის სტანდარტული გადახრა (ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB); **PHONE\_DEVICE\_TYPE\_Phablet** -

მომხმარებლის მობილური ტელეფონის ტიპი Phablet (კი/არა - ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB);

2. 1.11. პირადი პროფილით (კაბინეტით) ელექტრონულად შევსებული სესხის განაცხადით დაფიქსირებული ინფორმაცია ნამდვილია, დაფიქსირებული თანხმობები ნამდვილია და გაცნობიერებული აქვს მისი სამართლებრივი შედეგები, და მსესხებლის პირადი მონაცემების საბოლოო იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია დადასტურებულია პირადი პროფილით (კაბინეტით) სარგებლობით, ასევე პერსონალური კოდის გამოყენებით. შესაბამისად, მითითებული მონაცემების, განმცხადებლის/მსესხებლის ნების ნამდვილობის და სასესხო ხელშეკრულების პირობებთან მისი მიერთება მოხდა მსესხებლის მიერ „პირადი პროფილით (კაბინეტით) სარგებლობით და ოპერაციების ვერიფიკაციის და ავტორიზაციისთვის გენერირებული და ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერზე მიღებული პერსონალური კოდების გამოყენებით;
2. 1.12. სრულად აცნობიერებს გაკეთებული განაცხადით მცდარი ინფორმაციის მიწოდებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას და იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის არასათანადოდ დასრულების შესაძლო შედეგს, რაც შეიძლება გახდეს მსესხებლის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარების საფუძველი და სესხზე განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი;
2. 1.13. სესხის გაცემაზე უარი არ გამოიწვევს გამსესხებლის ვალდებულებას ახსნას უარის საფუძველი და ასეთი სახის ინფორმაციის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ „გამსესხებლის“ კეთილ ნებაზე;
2. 1.14. გაკეთებული სასესხო განაცხადის ან/და „სესხის ხელშეკრულების“ ირგვლივ წამოჭრილ ნებისმიერ დავას მხარეები („გამსესხებელი“ და „განმცხადებელი/მსესხებელი“) წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
2. 1.15. თანახმაა ყველა სახის ინფორმაცია მიიღოს სასესხო განაცხადში დაფიქსირებულ საკონტაქტო მისამართ(ებ)ზე ანდა პირად პროფილზე (კაბინეტში);
2. 1.16. არის სს „სილქნეტის“ ანდა „ჯეოსელის“ მობილური კავშირის აბონენტი ფიზიკური პირი;
2. 1.17. გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, სასესხო განაცხადის წარდგენაზე და სასესხო ხელშეკრულებასთან მიერთებისას არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, გენოლის, მუქარისა ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა, თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს გამსესხებლის ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;
2. 1.18. აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლება საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად;
2. 1.19. არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებები გამსესხებლის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ;
2. 1.20. არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;
2. 1.21. გაეცნო ამ ხელშეკრულების პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები და უერთდება მათ შესწორებების გარეშე. ასევე, იღებს ვალდებულებას სრულად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები და დააბრუნოს მიღებული

სესხი;

2. 1.22. მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი და უტყუარი.

2. 2. მსესხებელი იღებს ვალდებულებას, სასესხო განაცხადის დამუშავების და სასესხო ურთიერთობის დასრულებამდე იქონიოს აქტიური საბანკო ანგარიში სს „სილქ როუდ ბანკში“.

### 3. სესხის განაცხადის განხილვა და სესხის გაცემა

3. 1. სასესხო განაცხადის განხილვის მიზნით მსესხებელი პირადი პროფილის (კაბინეტის) გამოყენებით ავსებს სესხის განაცხადს დადგენილი წესის შესაბამისად.
3. 2. სასესხო განაცხადის განხილვისთვის განმცხადებელ/მსესხებელს უნდა ჰქონდეს „გამსესხებლის“ პროგრამულ ბაზაში რეგისტრირებული აქტიური საბანკო ანგარიში, აქტიური მობილური ტელეფონის ნომერი და ფინანსური სერვისების მითების მობილური ტელეფონის ნომერი.
3. 3. განაცხადის შევსების შედეგად აუცილებელია განმცხადებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესი გავლა „გამსესხებლის“ პროგრამულ უზრუნველყოფაში;
3. 4. დადებითი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესის გავლის შემდეგ, განმცხადებელმა სასესხო განაცხადის დამუშავების და გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნით მსესხებლის პირად პროფილში (კაბინეტში) უნდა მონიშნოს შესაბამისი თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და ინფორმაციის გამოთხოვაზე. სასესხო განაცხადის და ნებისმიერი თანხმობის ტექსტის დასადასტურება (შინაარსის გაცნობა / დადასტურება) განმცხადებელი/მსესხებლის მიერ ხდება პერსონალური კოდის შეყვანით, რომელიც მას ეგზავნება ფინანსური სერვისების მითების მობილური ტელეფონის ნომერზე. ფინანსურ ნომერზე გაგზავნილი პერსონალური კოდის კოდით ადასტურებს, რომ გაკეთებული განაცხადი ანდა გაცემული თანხმობა გაკეთებულია მის მიერ პირადად და აღნიშნულით ხდება განმცხადებლის ნების და თანხმობის დადასტურება.
3. 5. განმცხადებელი/მსესხებლის გადახდისუნარიანობის შესწავლის და შიდა პროცედურების გავლის შემდგომ „გამსესხებელი“ იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის ან/და სესხის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. უარის შემთხვევაში „გამსესხებელი“ უფლებამოსილია მიზეზების განმარტების გარეშე უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს. გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს სესხის გაცემაზე უარის მიზეზ(ებ)ი.
3. 6. დაკრედიტებაზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, თუ მსესხებელი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას, მან პირადი პროფილის (კაბინეტის) გამოყენებით და მიღებული პერსონალური კოდის მეშვეობით ადასტურებს სესხის ხელშეკრულებაზე და სასესხო თანხმების მირებაზე თანხმობას და შედის სასესხო გარიგებაში გამსესხებელთან.
3. 7. კრედიტის სპეციფიკური და სპეციალური პირობები მიეთითება სესხის განაცხადში, სესხის ხელშეკრულებაში მის თავსართში/ დანართში და გადახდის გრაფიკში;
3. 8. სესხის გაცემა ხდება სასესხო თანხის მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, რომელიც მას გააჩნია გამსესხებელთან.
3. 9. იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემა წარმოებს უკვე არსებული სასესხო

დავალიანების დაფარვის (რეფინანსირების) მიზნობრივობით, ახალი სესხის თანხით ავტომატურად (უაქცეპტო წესით ჩამონერით) იფარება მსესხებლის ძველი დავალიანება, ხოლო ნამეტი თანხა (ასეთის არსებობისას) რჩება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე და ხელმისაწვდომია მსესხებლისთვის (თუ მისი ხელმისაწვდომობა არაა შეზღუდული კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით მაგ: ინკასო ყადაღა და თანხების განკარგვაზე შეზღუდვა).

3. 10. „გამსესხებელი“ უფლებას იტოვებს, ცალმხრივად მოახდინოს სესხზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის ან/და საკომისიოს მოცულობის შემცირება (დაგეგმილი აქციების ანდა სხვაგვარი სარეკლამო აქტივობების პერიოდში). აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას.
3. 11. სესხის ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულების თავსართი, სესხის ხელშეკრულების დანართი, სესხის გადახდის გრაფიკი, მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის დოკუმენტი, საბანკო ანგარიშის გახსნის განაცხადი, საბანკო ანგარიშის ამონაწერი და ასევე, სესხის განაცხადი წარმოადგენს მსესხებლის და სესხის პირობების დეტალური ინფორმაციის ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს და სასესხო გარიგების ნაწილს, რომლის შემწვობითაც დასტურდება სასესხო გარიგების პირობები და მისი დადების ფაქტი.
3. 12. საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში მსესხებლის ინფორმირება ცვლილებამდე 1 თვით ადრე მოხდება წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტბანკით / მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ამასთან ერთად, მსესხებელს უფლება აქვს თავად აირჩიოს ზემოხსენებული ინფორმირების კონკრეტული არხი, რომელზეც მოხდება შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნა უფასოდ.

#### 4. სესხის გადახდის პირობები

4. 1. სესხის ძირი თანხის, სესხის პროცენტის (ასეთი არსებობისას) და სესხის გაცემასთან დაკავშირებული საკომისიოები მსესხებლის მიერ გადახდილი უნდა იყოს სესხის სპეციალური პირობების, სესხის გადახდის გრაფიკის (სესხის ხელშეკრულების დანართის) შესაბამისად.
4. 2. თუ გადახდის დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, გადახდის დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო სამუშაო დღე.
4. 3. სესხის დაფარვა ხორციელდება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის დასაფარად (გადახდის გრაფიკი) საკმარისი ხელმისაწვდომი თანხების არსებობის საფუძველზე, შესაბამისი თანხების მსესხებლის საბანკო ანგარიშიდან ჩამონერის და ამ თანხების გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე გადატანის გზით.
4. 4. გადახდები ხორციელდება ეროვნული ვალუტაში. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ „მსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე არაა საკმარისი სესხის დასაფარად ეროვნულ ვალუტაში არსებული სახსრები, „გამსესხებელი“ უფლებამოსილია დამატებითი თანხმობის მოპოვების გარეშე მოახდინოს მსესხებლის სავალუტო ანგარიშზე (ასეთის არსებობისას) არსებული თანხის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში სს „სილქ როუდ ბანკის“ კომერციული კურსის შესაბამისად და მიმართოს კონვერტირებული თანხები სასესხო დავალიანების დასაფარად.
4. 5. მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით პირველ რიგში იფარება:
  4. 5.1. სესხის გაცემის საკომისიო;
  4. 5.2. დარიცხული პროცენტი (ასეთის არსებობისას);
  4. 5.3. პირგასამტეხლო, ასანაზღაურებელი ხარჯები;
  4. 5.4. და ბოლოს სესხის ძირითადი თანხა.

4. 6. თუ გადახდილი თანხები საკმარისი არ არის პროცენტისა და სესხის ძირი თანხის დასაფარად, შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დაკისრება.
4. 7. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას სესხის დაფარვის ზემოაღნიშნულ („4.5“ პუნქტით) რიგითობაზე.
4. 8. სესხი სრულად დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება სასესხო ვალდებულების სრულად დაფარვის შემთხვევაში. თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ითვლება ვალდებულების შესრულებად და შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა.
4. 9. მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე წინსწრებით სრულად ანდა ნაწილობრივ დაფარვა, რისთვისაც მან გამსესხებელს უნდა წარუდგინოს სესხის წინსწრები დაფარვაზე განაცხადი. მსესხებელი ვალდებულია აცნობოს გამსესხებელს წერილობით ან სხვა ფორმით სესხის ვადაზე ადრე წინსწრებით სრულად ანდა ნაწილობრივ დაფარვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სესხის წინსწრებით დაფარვისას მსესხებელი გადახდის დანიშნულებაში არ მიუთითებს წინსწრებით სესხის დაფარვის შესახებ ინფორმაციას, სესხის გადახდა წინსწრებით არ მოხდება და გადახდილი იქნება ვადადამდგარი გადასახადი, ხოლო ნამეტი თანხა დარჩება მსესხებლის ანგარიშზე. სესხის ვადამდე სრულად ანდა წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის ძირ თანხას სრულად, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს (სესხის დაბრუნების დღისთვის დარიცხულ პროცენტს) და წინსწრების საკომისიოს და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას). ამასთან ერთად, თუ მსესხებელი წერილობით, ზეპირი ანდა მისთვის სასურველი ნებისმიერი ფორმით გამსესხებელთან დააფიქსირებს მის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებით სესხის წინსწრების დაფარვის მოთხოვნას, გამსესხებელი უზრუნველყოფს ხსენებული მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებას.
4. 10. სესხის წინსწრებით დაფარვისას, თუ მსესხებელი სესხს არ ფარავს სრულად და ამავედროულად არ უთითებს ინფორმაციას გადახდილი თანხით გადახდის გრაფიკის ვადის შემცირებაზე ანდა ყოველთვიური შენატანის შემცირებაზე გადახდის გრაფიკი დარჩება იგივე ვადით და შეიცვლება მხოლოდ ყოველთვიური შენატან(ებ)ის მოცულობა წინსწრებით გადახდილი თანხის გამოკლებით.
4. 11. სესხის წინსწრებით დაფარვისას, წინსწრების საკომისიოს (პირგასამტეხლოს) დაკისრება და აღება გამსესხებლის მიერ განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობით და წესით.
4. 12. **მსესხებელი ვალდებულია:** გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს შემოსავლების შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტების (ასეთის არსებობისას) მიწოდება; შემოსავლების შესახებ მონაცემების მონიტორინგის მიზნით, შეუფერხებლად დაუშვას გამსესხებლის წარმომადგენლის წვდომა, იმ ინფორმაციაზე, რომელიც დაადასტურებს მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადში მითითებული მონაცემების შესაბამისობას და გადახდისუნარიანობას; დაუშვას პირველი მოთხოვნისთანავე გამსესხებლის წარმომადგენლები, იმ ადგილსამყოფელში, სადაც მსესხებელი საქმიანობს და რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მსესხებლის საქმიანობის მონიტორინგი და მიღებული ინფორმაციის დამუშავებით მისი შემოსავლების და განაცხადში მითითებული მონაცემების დადასტურება; სასესხო ვალდებულების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, გამსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერ დროს, უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვის წყაროზე ინფორმაციის მიწოდება;
4. 13. მსესხებელი ვალდებულია, გამსესხებლის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში მსესხებელს წარუდგინოს

სესხის მიღებისას მის მიერ წარდგენილი ნებისმიერი საბუთის, განცხადების, და სხვა დოკუმენტების ნამდვილობის გადასამოწმებლად, განახლებული ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს წინა დოკუმენტებით გაცემული ინფორმაციის ნამდვილობას. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ უზრუნველყოფს ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებას გამსესხებელი უფლებამოსილი იქნება ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მოითხოვოს სასესხო დავალიანების წინსწრებით სრულად დაფარვა წინსწრების საკომისიოს მოთხოვნის გარეშე .

## 5. სესხის გადავადება

5. 1. გამსესხებლის თანხმობის შემთხვევაში მსესხებელს შეუძლია სასესხო პროდუქტის შესაბამისად ისარგებლოს სესხის გადავადების (სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება) შესაძლებლობით, რისთვისაც გადავადებამდე მსესხებელმა გამსესხებელს უნდა აცნობოს გადავადების უფლების გამოყენების შესახებ. ამასთან ერთად, მხარეები ადასტურებენ, რომ გადავადების სერვისით სარგებლობა არ ხდება ავტომატურ რეჟიმში და გადავადების სერვისით სარგებლობა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით, რომელიც უნდა შედგეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

## 6. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

6. 1. მხარეები შევთანხმდით, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშავოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები (შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), როგორც სესხის გაცემამდე, ასევე, სასესხო ვალდებულების არსებობის მთელ პერიოდში მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნებისთვის.
6. 2. მესამე პირს მსესხებლის პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს:
  6. 2.1. სესხზე მოთხოვნის უფლებით გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;
  6. 2.2. მაკონტროლებელ საზედამხედველო ორგანოებს, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;
  6. 2.3. გამსესხებლის ფინანსური აუდიტის კომპანიას, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;
  6. 2.4. საკრედიტო ბიურო(ებ)ს, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;
  6. 2.5. კანონის მოთხოვნის საფუძველზე დადგენილ პირებს;
  6. 2.6. სესხის გაპრობლემების შემდეგ (ვადაგადაცილების დაფიქსირებისას) პრობლემური სესხების ამოღების გარე კომპანიებს / პარტნიორებს, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;
  6. 2.7. საპროცესინგო ან სხვა მესამე პირს, რომელიც გადახდის პროცესინგს უზრუნველყოფს, რაც აგრეთვე აუცილებელია ამ მომსახურების გასაწევად, რაც

აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

6. 2.8. გამსესხებლის ჯგუფში შემავალ კომპანიებს ჯგუფში შემავალი კომპანიების და გამსესხებლის ფინანსური მონაცემების ერთობლივი დამუშავების მიზნობრივობით, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;
6. 2.9. სასამართლო, სააღსრულებლო ანდა სამართალდამცავ ორგანოებს კანონის ფარგლებში, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული.

6. 3. სესხის ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ეთანხმება, რომ მისთვის სათანადო მომსახურების განევის მიზნით, გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების მიზნებისათვის შესაძლოა მსესხებლის პირადი მონაცემები, გარდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციისა, გამჟღავნებული იქნას გამსესხებლის შიდა პერსონალთან შეზღუდვის გარეშე, მათ შორის გამსესხებლის ჯგუფში შემავალ კომპანიებთან. ამასთან, გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, გადასცეს „გამსესხებლის“ ჯგუფში შემავალ კომპანიებს მათი საოპერაციო საქმიანობის სრულყოფის, მათ მიერ სესხის გაცემაზე ადეკვატური გადანყვეტილების მიღების, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების, სესხის დაბრუნების, მსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენის მიზნებისთვის, იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

6. 4. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ:

6. 4.1. გამსესხებელმა სესხის განაცხადის დამუშავების პროცესის წარმოების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მოიძიოს და გადაამოწმოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი რეესტრიდან და მონაცემთა ბაზიდან, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

6. 4.2. დაკრედიტებაზე გადანყვეტილების მისაღებად „გამსესხებელს“ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დამატებითი თანხმობის გარეშე გადაამოწმოს, მოიპოვოს და დამუშავოს და შეინახოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები სს „სილქნეტის“ (ს/კ204566978) და მობილური ოპერატორის ჯეოსელის სააბონენტო ბაზიდან, ასევე საჭიროებისას ან/და მსესხებლის მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას გადასცეს ყველა ის ინფორმაცია მესამე პირებს რაც ინახება „გამსესხებელთან“;

6. 5. სს „სილქნეტიდან“ გამოთხოვილ პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება შემდეგი მონაცემი: ანგარიშის ნომერი; პირადი ნომერი; აბონენტის სახელი/გვარი; საკონტაქტო ინფორმაცია; რეგიონი; მისამართი; სერვისი; მსესხებელზე რეგისტრირებული ჯეოსელის მობილური ნომრის კუთვნილების დასტური; სერვისის ჩართვის დრო; გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის რაოდენობრივ-სტატისტიკურ მოდელში დასამუშავებელი მონაცემის იდენტიფიკატორი მობილური ტელეფონის ნომრის მსესხებლის სახელზე რეგისტრაციის თარიღი; ბოლო სერვისის ჩართვის დრო; ასევე - **Last1mon\_SMVC\_CELLS\_11\_17\_STD** - ბოლო ერთი თვის (30 კალენდარული დღე) 11:00 am - 17:00 pm პერიოდის განმავლობაში, მოცემული ნომრის განსხვავებულ სელზე დაფიქსირებული რაოდენობის ყოველდღიური



სტანდარტული გადახრა (სმს-ის და ხმოვანი სიგნალის მიხედვით.

ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB); **Last3mon\_FIX\_CDR\_STD** - ბოლო სამი თვის (90 კალენდარული დღე) განმავლობაში, მოცემული ნომრიდან ფიქსირებულ ქსელებზე ყოველდღიურად გამავალი ზარების რაოდენობის სტანდარტული გადახრა (ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB);

**Last1mon\_CHARGE\_PAYG\_VOICE\_AVG** - ბოლო ერთი თვის (30 კალენდარული დღე) განმავლობაში ხმოვან სიგნალთან დაკავშირებული პაკეტის გარეშე ხარჯის ყოველდღიური საშუალო (ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB);

**Last6mon\_INC\_REST\_SMS\_COUNT\_STD** - ბოლო ექვსი თვის (180 კალენდარული დღე) განმავლობაში არა ფიზიკური პირებიდან ყოველდღიურად მიღებული SMS რაოდენობის სტანდარტული გადახრა (ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB) ;

**PHONE\_DEVICE\_TYPE\_Phablet** - მომხმარებლის მობილური ტელეფონის ტიპი Phablet (კი/არა - ინფორმაციის/ცვლადის წყარო GeoCell DB),

6. 6. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელმა მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საკრედიტო ბიურო(ებ)ს. გამსესხებელი ამ მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებას განახორციელებს იმ ფარგლებში, რაშიც აღნიშნული აუცილებელია გამსესხებლის სამენარჩეო ინტერესების დასაცავად;
6. 7. გამსესხებელმა მსესხებლის მიერ მონოდებული საკონტაქტო ნომრებზე განახორციელოს პირდაპირი მარკეტინგული შეთავაზებები (სარეკლამო-საინფორმაციო) SMS ინფორმირების განხორციელებით.
6. 8. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებლის მიერ სესხის გადახდის მიზნით, სესხის დაფარვის ვადები, გადასახდელი თანხების მოცულობა, საბანკო ანგარიშის ნომრ(ებ)ი, მსესხებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, და სესხთან დაკავშირებული სხვა რელევანტური მონაცემები განათავსოს სხვადასხვა საგადახდო არხებში, ინტერნეტ ბანკში და/ან პერსონალურ კაბინეტში და/ან მობილურ აპლიკაციებში. ამასთან ერთად, აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელი იქნება შესაბამის საგადახდო არხებში მსესხებლის პირადი ნომრის (მსესხებლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის) შეყვანისას და/ან ინტერნეტ ბანკში და/ან პერსონალურ კაბინეტში და/ან მობილურ აპლიკაციაში შესაბამის ველში პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემის (მომხმარებლის / პაროლის) შეყვანის საფუძველზე. შესაბამისად, მხარეები შევთანხმდით, რომ ასეთი სახით ინფორმაციაზე წვდომა არ წარმოადგენს მსესხებლის პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემას. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს არ სურს, რომ ამ პუნქტში მითითებული მისი პერსონალური მონაცემები განთავსდეს შესაბამის საგადახდო არხებში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ინტერნეტ ბანკში და/ან მობილურ აპლიკაციებში და/ან პერსონალურ კაბინეტში, მან აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა მიმართოს გამსესხებელს და მოითხოვოს ასეთი სახის ინფორმაციის შესაბამის არხში განთავსების დაბლოკვა. ამასთან, გამსესხებელი პასუხს არ აგებს მესამე პირის მიერ სწრაფი გადახდის აპარატის და სხვა საგადახდო არხების მეშვეობით მსესხებლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეყვანის შემთხვევაში მსესხებლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე;
6. 9. მესამე პირის მიერ მსესხებლის სასესხო ვალდებულებების შესრულების მიზნით გამსესხებელმა მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია მიმდინარე ვადაგადაცილების თაობაზე გადასცეს, იმ მესამე პირებს, რომლებიც გამსესხებელთან ზეპირი ან წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მზადყოფნას მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე. აღნიშნული ქმედება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მსესხებლის

თანხმობის შემთხვევაში;

6. 10. გამსესხებელმა მის აუდიტორებს, კონსულტანტებს და მრჩევლებს საჭიროების შესაბამისად უფლებამოსილია გადასცეს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები თავის მხრივ დაიცავენ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.
6. 11. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.
6. 12. მსესხებელი ვალდებულია დაფაროს აღებული სესხი, სესხის ხელშეკრულების დნართში, თავსართში - და მის საფუძველზე გაფორმებულ დოკუმენტებში მითითებულ ვადაში.

## 7. პასუხისმგებლობა

7. 1. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
7. 2. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა და სრულიად აცნობიერებს გადახდების შეყოვნებასთან დაკავშირებულ შედეგებს.
7. 3. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის წინაშე ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე და ყველა, იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან გამსესხებელს მიანოდა ხელშეკრულების დადებამდე ან/და დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ.
7. 4. სესხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დაარიცხოს ყოველდღიური ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სასესხო პროდუქტით გათვალისწინებული ოდენობის, და სესხის სპეციფიკური პირობების შესაბამისად. ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის ვალდებულებებისაგან.
7. 5. გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მსესხებელს შესთავაზოს სესხის დაფარვის ე.წ. ინდივიდუალური გრაფიკი, ან/და ახალი სესხი. რომლის პირობებზეც მსესხებელი და გამსესხებელი შეთანხმდებიან დამატებით იგივე ფორმით, როგორც შეთანხმდნენ აქამდე. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აქვე დაზუსტებულია, რომ ინდივიდუალური გრაფიკის შემოთავაზება და ახალი სესხის შეთავაზება წარმოადგენს გამსესხებლის დისკრეციულ უფლებას და არა ვალდებულებას და მსესხებელს არ შეუძლია მოსთხოვოს გამსესხებელს ასეთი უფლების განხორციელება.
7. 6. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.
7. 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8. 1. გამსესხებელს შეუძლია ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
  8. 1.1. მსესხებელი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;
  8. 1.2. მსესხებელი აგვიანებს სესხის გადახდას გადახდის გრაფიკით დათქმული ვადების გადაცილებით 15 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს;
  8. 1.3. არღვევს გადახდის გრაფიკს ზედიზედ ორჯერ;
  8. 1.4. გამსესხებელისათვის ცნობილი ხდება, რომ მსესხებლის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად მსესხებელს შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის მოცულობაც აღმოჩნდება იმხელა, რომ მსესხებელმა ვეღარ შეძლოს გამსესხებლის მიმართ არსებული სასესხო დავალიანების დაფარვა, ან მსესხებელი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება სესხის თანხას;
  8. 1.5. გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ ხელშეკრულების დადებისას მსესხებელმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;
  8. 1.6. მსესხებელი გახდა გადახდისუუნარო;
8. 2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია სრულად დააბრუნოს აღებული სესხი გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## 9. მსესხებლის ვალდებულება მისი საკონტაქტო მონაცემების ცვლილებისას

9. 1. მსესხებელი ვალდებულია: სასესხო განაცხადში მითითებული საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული ან/და ფაქტიური ან/და ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო ნომრის) ცვლილების შემთხვევაში, წერილობითი განცხადების მეშვეობით აცნობოს გამსესხებელს ახალი საკონტაქტო მონაცემები. ასეთი განცხადების გამსესხებლისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში, გამსესხებელი ყველა შეტყობინებას ან/და გზავნილს (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) რაც განკუთვნილია მსესხებლისთვის აგზავნის განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე, ხოლო ახალი საკონტაქტო მონაცემის შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში ახალ საკონტაქტო მისამართზე.
9. 2. მხარეები შევთანხმდით, რომ გამსესხებლის მიერ მსესხებლის მისამართით გაგზავნილი ყველა შეტყობინება ან/და გზავნილი (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) მსესხებლის მიერ მიღებულად (ჩაბარებულად) ითვლება სასესხო განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე ან/და საკონტაქტო მისამართის ცვლილების განცხადებაში მითითებულ მისამართზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაგზავნისას.
9. 3. მხარეები ასევე შევთანხმდით, რომ, იმ შემთხვევებში, თუ მსესხებელი ფაქტიურად აღარ იმყოფება სასესხო განაცხადში მითითებულ მისამართზე და სხვა ახალი საკონტაქტო მისამართის შესახებ გამსესხებელთან არ წარუდგენია წერილობითი განცხადება ახალი საკონტაქტო მისამართის შესახებ, გამსესხებლისგან გაგზავნილი შეტყობინება ან/და გზავნილი (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) ითვლება მსესხებლის მიერ ჩაბარებულად.
9. 4. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის, თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

9. 5. მსესხებელი ადასტურებს, რომ თანახმაა სესხის ხელშეკრულების დადების შემდგომ ელექტრონული ფორმით ანარმოოს ანგარიშსწორება და მიმოწერა (ელექტრონული ფოსტა და/ან პირადი კაბინეტი), დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. მსესხებელი ინფორმირებულია, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს სესხის თანხის, გადასახდელი პროცენტის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობას.
9. 6. თუ იცვლება მსესხებლის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მიანოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია.
9. 7. მსესხებელი უფლებამოსილია თავად აირჩიოს მასთან კომუნიკაციის არხი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს უფასო შეტყობინებების არხი. ამასთან ერთად, თუ გამსესხებელმა მსესხებელს, მის მიერ არჩეულ საკომუნიკაციო არხზე (საცხოვრებელ ან/და ელექტრონულ საფოსტო მისამართზე ან/და მობილურის ტელეფონის ნომერზე) გაუგზავნა შეტყობინებები ვადაგადაცილების შესახებ და მოქმედი კანონმდებლობით ანდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საჭირო გახდა მსესხებელთან დამატებით სასესხო დოკუმენტაციის და/ან სასარჩელო დიკუმენტაციის, მათ შორის დამატებით გაფრთხილების წერილების შეკვეთილი საფოსტო გზავნილის გზით გაგზავნა, გამსესხებელს აქვს უფლება მოითხოვოს მსესხებლისგან ასეთი გზავნილის გაგზავნისთვის განუული ხარჯების ანაზღაურება . ამასთან ერთად, მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებელს არ დაეკისრება არანაირი გადასახადი მის მიერ არჩეულ საკომუნიკაციო არხზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნისათვის.
9. 8. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია საფოსტო საკურიერო სამსახურებს მათ შორის შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (ს/კ 203836233) ანდა სხვა საფოსტო მომსახურების კომპანიას შესაბამისი შეტყობინების მიწოდების მიზნებისათვის.
9. 9. გამსესხებელი პასუხს არ აგებს მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით დამდგარი შედეგის გამო.

## 10. უფლებამონაცვლეობა

10. 1. მსესხებელი თანახმაა ხოლო, გამსესხებელი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს მათ შორის. შესაბამისად მოთხოვნების და უფლებების შესამე პირისთვის მათ შორის ამ პუნქტში დასახელებული პირისთვის გადაცემისას არაა საჭირო მსესხებლის რაიმე დამატებითი თანხმობის მოპოვება. მსესხებლისთვის მისაღებია ამ პუნქტის დებულება.
10. 2. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს.
10. 3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეობებზე.

## 11. დავების გადაწყვეტა

11. 1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.
11. 2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე.
11. 3. მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად განსაზღვრულია საქართველო, ქ. თბილისი.

## 12. უზრუნველყოფა

12. 1. ხელშეკრულებით (მისი დანართებითა და დამატებებით) გათვალისწინებული მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის მთელი ქონებით;
12. 2. მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე აღებული ვალდებულებების ნებისმიერი ნაწილობრივი ან მთლიანი დარღვევა, ან დავალიანების არსებობის შემთხვევაში სხვა საფუძველებით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა გამსესხებელს აძლევს საფუძველს, გამოიყენოს ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული აქტივები მათი რეალიზაციის უფლებით, რომლიდანაც მიღებული თანხებით დაიფარება მსესხებლის სრული ან ნაწილობრივი დავალიანება ამოღებულ თანხის ოდენობით. მსესხებლის დავალიანების დაფარვის წყაროს, ასევე წარმოადგენს მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები და გამსესხებელი უფლებამოსილია ვალდებულების დასაფარად გამოიყენოს აღნიშნული წყარო.

## 13. „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომრის გამოყენებით ფინანსური სერვისების და საბანკო ოპერაციების შესრულება

13. 1. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებელი თანახმაა, დისტანციურად, ბანკში გამოუცხადებლად, მობილური სატელეფონო კავშირის გამოყენებით შესრულდეს ბანკის მიერ განსაზღვრული ოპერაციები, იმ „სატელეფონო ნომრის მეშვეობით“, რომელიც მითითებულია გამსესხებლის პროგრამულ უზრუნველყოფაში - მსესხებლის „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომრი“-ს ველში;
13. 2. სასესხო განაცხადში, ამ დოკუმენტში, მის დანართებში ანდა გამსესხებლის პროგრამულ უზრუნველყოფაში მითითებული მსესხებლის „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომრი“-ს შემდგომში „ტელეფონის ნომერი“-ის მეშვეობით შესაძლებელია შესრულდეს შემდეგი მომსახურება: SMS შეტყობინების მიღება მსესხებლის/კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული ოპერაციების, ნაშთების შესახებ, ვალუტის კურსების შესახებ, ოპერაციების აქტიური წარმოება SMS შეტყობინების მეშვეობით, გამსესხებელზე დავალებების დადასტურება მსესხებლის საბანკო ანგარიშებიდან თანხების გადარიცხვების ანდა გატანის შესახებ. SMS ბანკით მომსახურებისას საგადახდო დავალებებზე მსესხებელი/კლიენტის ხელმოწერის დაფიქსირება აღარ არის საჭირო და ხელმოწერის ჩანაცვლება ხორციელდება SMS ბანკის სერვისით დავალების ვერიფიკაციის პროცესის დროს მსესხებლისთვის გაგზავნილი

დავალების აქტივაციის პერსონალური კოდის დაფიქსირების საფუძველზე; SMS ბანკის სერვისით მსესხებელს ეგზავნება შეტყობინებები: - აქტიური SMS შეტყობინება; შემახსენებელი SMS შეტყობინება; გასავლის ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; შემოსავლის ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; საკუთარ ანგარიშებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; საგადახდო დავალებების ფორმირების, ვერიფიკაციის და საბანკო ოპერაციების შესრულების ავტორიზაციის პერსონალური კოდები; - სხვადასხვა საბანკო პროდუქტების აქტივაციის და მომსახურების პინკოდებზე ინფორმაციები; სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით/სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის გავლა ანდა განაცხადში მითითებული საკონტაქტო მონაცემების შეცვლა; დადგენილი ლიმიტების ფარგლებში საბანკო ოპერაციების წარმოება; მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ის დახურვა; საკრედიტო პროდუქტის მიღების ან/და გაუქმების განაცხადების წარდგენა და ხელშეკრულებების ხელმოწერა, ამ პროდუქტებით მომსახურების სერვისის დაფიქსირება; ავტორიზაციის და ვერიფიკაციის SMS შეტყობინებები და ერთჯერადი კოდები;

13. 3. ამასთან ერთად, მსესხებლისთვის ცნობილია, რომ სატელეფონო გზით ოპერაციების წარმოებისთვის აუცილებელია კლიენტის იდენტიფიკაციის პროცესის გავლა, იმ მობილური ნომრიდან, რომელიც გამსესხებლის და მსესხებლის მიერ გამოიყენება „ფინანსური სერვისების მიღებისთვის“ და რეგისტრირებულია გამსესხებლის პროგრამულ ბაზაში. სწორედ ამ ტელეფონის ნომრის მეშვეობით ხდება ბანკის მიერ შედგენილი გარკვეული კითხვარებით იდენტიფიკაციის პროცესი. ამასთან ერთად, მსესხებლის თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია აუთენტიფიკაცია განხორციელდეს მსესხებლის ხმის გამოყენებით (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში), როგორც სატელეფონო მომსახურების, ასევე ნებისმიერი სხვა საბანკო მომსახურების და პროდუქტის დისტანციურად მიღების მიზნით, რითიც ხდება ელექტრონულ სერვისებზე კლიენტის რეგისტრაცია;
13. 4. იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკაცია ხდება ხმოვანი სატელეფონო კავშირით, ყოველი სატელეფონო კავშირისას მსესხებელმა უნდა გაიაროს იდენტიფიკაციის პროცედურა ან ვერიფიკაცია გაიაროს ხმით აუთენტიფიკაციის საშუალებით (ასეთი შესაძლებლობის არსებობისას). გამსესხებელი ნებისმიერ დროს უფლებამოსილია უარი განაცხადოს სატელეფონო იდენტიფიკაციის პროცედურაზე, იმ შემთხვევაში, თუ გამსესხებლის წარმომადგენელს გაუჩნდება ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა მსესხებელი / კლიენტი, არამედ მესამე პირი. გამსესხებელს უფლება აქვს არ გასცეს განმარტებები ეჭვის საფუძველების შესახებ. მსესხებლის იდენტიფიკაციის მიზნით, გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს დამატებითი კრიტერიუმები და პროცესები. ტელეფონით დაკავშირებისას მსესხებელი თავისი განცხადებებით, დავალებებით ანდა თანხმობებით, იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ იძლევა დავალებას, შესაბამისი მომსახურების მიწოდებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს არ სურს სატელეფონო მომსახურების მიღება ანდა მიღების შემდეგ სურს ამ მომსახურების შეწყვეტა, ის ვალდებულია წერილობით ანდა დისტანციურად სატელეფონო სერვის-ცენტრში იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ დააფიქსიროს შესაბამისი განაცხადი. მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი დაფიქსირდეს და ჩაინეროს გამსესხებლის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა. სატელეფონო

საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა გამსესხებლის საკუთრებად და გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტიდან მაქსიმუმ სამი წლის განმავლობაში შეინახოს აღნიშნული ჩანაწერი მისთვის მისაღები ფორმით და საჭიროებისას გააცნოს მსესხებელს და მაკონტროლოლებელს, საზედამხედველო და სამართალდამცავ ორგანოს ეს ჩანაწერი. გამსესხებელი უზრუნველყოფს ხმის ბიომეტრიის დაცულობას და პასუხისმგებელია მხარეთა შორის შეთანხმებული მიზნებისათვის გამოყენებაზე. მსესხებლის ბიომეტრიული მონაცემის ჩანერა განხორციელდება რთული იდენტიფიკაციის გავლის შემდგომ. მსესხებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი ხმის ჩანაწერის შეცვლა/წაშლა/განადგურება გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მსესხებლის ხმის ბიომეტრიის დამუშავების მიზანს წარმოადგენს მისი უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა თანამედროვე, უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებით. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური უზრუნველყოფის კუთხით, კლიენტის ხმის ბიომეტრიული მონაცემები ინახება დაშიფრული სახით და დაშიფრულ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია. მხარეები თანხმდებიან, რომ სატელეფონო ნომრიდან ასევე ხმის აუთენტიფიკაციის გამოყენებით შესრულებულ საბანკო ოპერაციას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა. მსესხებელი ვალდებულია დაიცვას დისტანციური პროდუქტებით სარგებლობისას მის მიერ შექმნილი პაროლ(ებ)ის და პერსონალური კოდების კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში. მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ, მსესხებელი ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები და არ ექნება ადგილი პირების მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომას. პაროლ(ებ)ის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მოითხოვოს სერვისების დაბლოკვა.

#### 14. სხვა პირობები

14. 1. დავალიანებული თანხის ამოღების შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ფარავს მსესხებელი, რაზეც მსესხებელი არის თანახმა.
14. 2. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებლის პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან) წარმოებული ოპერაციები შესრულებული იქნება პირადად მსესხებლის მიერ, პირადი პროფილის გამოყენება მოხდება მხოლოდ მსესხებლის მიერ და სხვა პირებს არ ექნებათ ამ პროფილზე წვდომის უფლება. მსესხებლის პირადი პროფილიდან შემოსული განხადებები, თანხმობები და დავალებები გაცემული იქნება მხოლოდ მსესხებლის მიერ.
14. 3. მსესხებელი ადასტურებს, რომ მსესხებლის პირადი პროფილიდან შემოსული ყველა განცხადება, თანხმობა და შემოთავაზება გაკეთებულია მსესხებლის მიერ და სადავოს არ გახდის მის შინაარსს და გარიგების ნამდვილობას.
14. 4. მსესხებელი უფლებამოსილია, მიმართოს გამსესხებელს და მიიღოს გამსესხებლის ხელმოწერით დადასტურებული ხელშეკრულება, იმ გარიგებაზე, რომელიც უკვე არის ელექტრონულად დადასტურებული.
14. 5. მსესხებელი ადასტურებს, რომ გამსესხებელმა უზრუნველყო მსესხებლისათვის საკრედიტო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის

ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება. მათ შორის, საკრედიტო პროდუქტის ვებ-გვერდის მეშვეობით შეთავაზებისას ასევე, მსესხებლის განაცხადის შევსებამდე და შევსებისას ამავე არხით სასესხო პროდუქტის შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც მსესხებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

14. 6. მსესხებელი ადასტურებს, რომ იგი სასესხო პროდუქტის პირობებს, მათ შორის სესხის განაცხადს, სესხის ხელშეკრულებას, სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, სესხის ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს და სესხთან დაკავშირებულ ინფორმაციას გაეცნო წერილობითი ელექტრონული ფორმით და მას აღარ ესაჭიროებოდა გამსესხებელთან ამ გარიგების დადების გადაწყვეტილების მიღებისთვის ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიღება, თუმცა მას ეს საშუალება გააჩნდა.
14. 7. მხარეები აღიარებენ, რომ საკრედიტო პირობებზე და პროდუქტზე შეთანხმდნენ დისტანციურად ვებ-გვერდის მეშვეობით. მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, გამსესხებელმა/კრედიტორმა უზრუნველყო მის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მსესხებლის მხრიდან მიღების და გაცნობის, ასევე შეთავაზებულ პირობებზე თანხმობის დადასტურება ვებ-გვერდზე განთავსებული და ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და თანხმობის დადასტურების შემდეგ ძალაში შევიდა შეთანხმებული პირობები. პროდუქტის დისტანციურად შეთანხმებული პირობების შეცვლისას ყველა ასეთი ცვლილება, მსესხებლის მიერ მოთხოვნის დაფიქსირებისას ხელმისაწვდომი იქნება მსესხებლისთვის ნებისმიერი ფორმით გამსესხებლის/კრედიტორის სისტემის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში. კრედიტორი მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი ხარჯისა და საკომისიოს გარეშე, მისცემს მას წვდომას მასთან არსებულ სასესხო პროდუქტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, მინიმუმ ერთი დისტანციური არხის (ინტერნეტი, ინტერნეტბანკი, მობილური ტელეფონი ან მობაილბანკი) საშუალებით კრედიტორის სისტემის ტექნიკური მოწყობის ფარგლებში.
14. 8. მსესხებელი გაფრთხილებულია სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ. მსესხებელი გაფრთხილებულია, რომ სესხის დაუბრუნებლობისას მის მიმართ გატარებული იქნება სამართლებრივი ზომები, რომლის დროსაც შესაძლებელია მას დაუყადალდეს მიმდინარე საბანკო ანგარიშების, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება და მოხდეს ამ ქონების იძულებითი რეალიზაცია სასესხო დავალიანების დასაფარად. მსესხებელი ადასტურებს, რომ მსესხებელმა მიიღო ინფორმაცია სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების და სავალუტო რისკის შესახებ (იმაზე, თუ მსესხებელს შემოსავლები კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში აქვს).
14. 9. მხარეები შევთანხმდით, რომ პრეტენზიების წერილობითი და ელექტრონული ფორმით მიღების/განხილვის სტანდარტული პროცედურის მიხედვით მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, პრეტენზია დააფიქსიროს ზეპირი, წერილობითი და ელექტრონული ფორმით; მსესხებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირების სურვილის შემთხვევაში, მსესხებელს შეუძლია თავად აირჩიოს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ზეპირი პრეტენზიის მიღება, მსესხებელს ასევე აქვს შესაძლებლობა პრეტენზია სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმითაც გამოხატოს; გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებლისგან პრეტენზიის (გარდა ზეპირი ფორმით) მიღებისას პრეტენზიის განმცხადებელს წერილობით/ელექტრონულად დაუდასტუროს პრეტენზიის



მიღება; პრეტენზიის განხივის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება პრეტენზიის დაფიქსირებიდან 15 სამუშაო დღე. გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს, მასთან შეთანხმებული ფორმით (წერილობით ან ელექტრონულად და/ან პრეტენზიის დაფიქსირების იდენტური მეთოდით) აცნობოს მას საკითხის შესწავლის შედეგები და, სადაც შესაძლებელია, შესთავაზოს პრეტენზიის გადაწყვეტის პირობები; პრეტენზიების განხილვას უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური სამსახური; მსესხებლის მიერ პრეტენზიის წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია ნებისმიერ სერვის-ცენტრში. ამასთან ერთად, პრეტენზიის წარდგენის ფორმა, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მსესხებლისთვის ხელმისაწვდომია მომსახურების სერვის-ცენტრშიც. ამასთან ერთად, გამსესხებელი ვალდებულია დაიცვას ამ წესით დადგენილი მოთხოვნები პრეტენზიების განხილვასთან, აღრიცხვასთან და სხვა პროცედურებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც, როცა პრეტენზიის დაფიქსირების მომენტში სესხი გასხვისებულია ან რაიმე ფორმით სამართავად გადაცემულია მესამე პირზე.

14. 10. მხარეები შევთანხმდით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს განმცხადებლის/მსესხებლის სასესხო განაცხადი, სესხის პროდუქტის აღწერილობა, სესხის ხელშეკრულების დანართი და თავსართი და სესხის გაცემასთან დაკავშირებული მატერიალური ან/და ელექტრონული სხვა დოკუმენტაცია.
14. 11. მსესხებელი ანცობიერებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულების პირობები შესაძლოა პერიოდულად განახლდეს გამსესხებლის მიერ, შესაბამისად, პირობების განახლების შემდეგ ყოველი სესხის აღების ფაქტი ჩაითვლება განახლებულ პირობებზე მსესხებლის მიერ გამოხატულ თანხმობად.
14. 12. მხარეები შევთანხმდით, რომ ელექტრონულ დოკუმენტაციას გააჩნია მატერიალური დოკუმენტაციის მსგავსი იურიდიული ძალა.

## 15. კრედიტის სპეციალური და სპეციფიკური პირობები

15. 1. მითითებულია სესხის ხელშეკრულებაში, მის თავსართში ანდა დანართში, საკრედიტო პროდუქტის პირობებში, გადახდის გრაფიკებში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 16. ხელშეკრულების დანართები და თავსართი

16. 1. სესხის განაცხადი (სესხის ხელშეკრულების „1.5.“ პუნქტში მითითებული შინაარსის დოკუმენტი);
16. 2. ხელშეკრულების თავსართი (სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები);
16. 3. ხელშეკრულების დანართი (სესხის ხელშეკრულების სპეციალური პირობები);
16. 4. სესხის გადახდის გრაფიკი;
16. 5. თანხმობა საკრედიტო ბიუროდან მონაცემების მოპოვების/დამუშავების და გადაცემის შესახებ;
16. 6. თანხმობა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე;
16. 7. თანხმობა სს „სილქნეტიდან“ მონაცემების გამოთხოვის და დამუშავების შესახებ;

**სესხის/კრედიტის ხელშეკრულების N [loan:publicId] სპეციალური პირობები .  
დანართი**

**1. კრედიტის პირობები.**

კრედიტით სარგებლობის  
ვადა

- |      |  |   |
|------|--|---|
| 1.1. | გამსესხებლის მიერ<br>მსესხებლის ანგარიშზე<br>კრედიტის თანხის<br>გადარიცხვის<br>დღიდან კალენდარული                                  | • [schedulePaymentCount:all] თვე                |
| 1.2. | საკრედიტო თანხის<br>მთლიანი მოცულობა   | • [loan:requestAmount] ლარი                     |
| 1.3. | მსესხებლის ანგარიშზე<br>გადასარიცხი თანხის<br>სრული ოდენობა  | • [loanGiveoutCommission] ლარი                  |
| 1.4. | კრედიტის თანხის მიღების<br>პერიოდულობა   | • ერთჯერადად                                    |
| 1.5. | კრედიტის მსესხებლის<br>ანგარიშზე გადარიცხვის<br>საერთო რაოდენობა   | • ერთჯერადი                                     |
| 1.6. | წლიური საპროცენტო<br>განაკვეთი   | • [loan:installmentPercent] %                   |
| 1.7. | კრედიტის ეფექტური<br>საპროცენტო განაკვეთი  | • [loan:effectivePercent] %                     |
| 1.8. | კრედიტის მიზნობრიობა   | • სამომხმარებლო                                 |
| 1.9. | კრედიტის დასაფარად<br>შენატანების ოდენობა /<br>სიხშირე / შენატანების<br>განხორციელების<br>მაქსიმალური ვადები /<br>საერთო რაოდენობა | • გათვალისწინებულია სესხის გადახდის<br>გრაფიკით |

**კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები**

- |       |                               |  |
|-------|-------------------------------|--|
| 1.10. | კრედიტის გაცემის<br>საკომისიო | • [loanGiveoutCommission] ლარი         |
|       |                               | • სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევისას |

- პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერთჯერადად 20 ლარი;
- სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევისას ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტი თითოეული ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან ერთად, გადახდის გრაფიკის დარღვევისას პირგასამტეხლოს ოდენობა ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა იყოს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტზე მეტი, ხოლო სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული / დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5 -მაგ ოდენობას
- 1.11. პირგასამტეხლო
- 1.12. სადაზღვევო ხარჯი (ასეთის არსებობისას) • 0 ლარი
- 1.13. სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში მსესხებლის შესახებ პერსონალური მონაცემების გადამოწმების ღირებულება • 0 ლარი
- 1.14. სს სილქნეტის სააბონენტო ბაზაში მსესხებლის (აბონენტის) შესახებ ინფორმაციის გადამოწმების ღირებულება • 0 ლარი
- 1.15. კრედიტინფოში მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შემოწმების საფასური • 0 ლარი
- 1.16. კრედიტის თანხის განაღდების საკომისიო კრედიტორის სერვის ცენტრებში • 0 ლარი
- 1.17. ყოველთვიური შენატანები (ძირითად თანხას+პროცენტი) • [schedulePaymentSelect:3,payment] ლარი

**კრედიტის შენარჩუნებასთან და დაფარვასთან დაკავშირებული ფინანსური**

## ხარჯები

1.18. კრედიტის მომსახურების  
ყოველთვიური საკომისიო

- 0 ლარი

ინფორმაცია ფინანსური  
ხარჯების შესახებ,  
რომელიც

1.19. გათვალისწინებულია  
კრედიტის ეფექტური  
საპროცენტო განაკვეთის  
გამოთვლაში

- კრედიტის ეფექტური საპროცენტო  
განაკვეთის გამოთვლაში მონაწილეობს  
შემდეგი ქვეპუნქტები: 1.1; 1.2; 1.6; 1.9; 1.10;  
1.12; 1.13; 1.14; 1.15; 1.16; 1.17;

1.20. კრედიტის ვადის ბოლოს  
დასაფარი კრედიტის  
თანხა (ძირს+პროცენტი)  
კრედიტორის გადახდის  
არხებში

- [loan:mustPayTotal] ლარი

1.21. მსესხებლის უფლება  
კრედიტის წინასწარ  
დაფარვაზე

- გააჩნია

1.22. კრედიტის წინასწარი  
დაფარვის  
საკომისიო (სესხის  
დაფარვა  
მსესხებლის მოთხოვნით)

- 1% - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე  
დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; 0,5% - თუ  
ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია  
6 - იდან 12 თვემდე ვადა; 0% - 6 თვემდე ვადის  
შემთხვევაში; 2% - თუ ხელშეკრულების  
დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი.  
(გამოიანგარიშება - კრედიტის დარჩენილი  
ძირითადი თანხიდან და ხელშეკრულების  
დასრულებამდე დარჩენილი ვადის  
შესაბამისად)

1.23. კრედიტის წინასწარი  
დაფარვის  
საკომისიო (სესხის  
დაფარვა  
კრედიტორის მოთხოვნით)

- კრედიტის დარჩენილი ძირის 0%

## სესხის გადახდის გრაფიკი (ლარში)

[schedulePaymentList:all]